#19 D. GAMREKELI STR, TBILISI, GEORGIA TEL/FAX: +995 322 24 25 90

02/02

"12" 02 2020

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

შ.პ.ს. "ტრანს გაზი" წარმოდგენილი დირექტორის დავით ჩახტაურის სახით (პ/ნ 01011023976) აძლევს წინამდებარე მინდობილობას ლევან დევდარიანს (პ/ნ 42001003777) მასზედ, რომ ორგანიზაციის სახელით ქ.თბილისის მერიის სსიპ არქიტექტურის საქალაქო სამსახურის ვებგვერძე ატვირთოს განაცხადი ბენზინ და გაზგასამართი სადგურის შეთანხმებულ პროექტში ცვლილების შესახებ.

მინდობილობა ძალაშია: 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით

დირექტორი

დავით ჩახტაური



სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N200157325
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	13.02.2020 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ნინო მათუაშვილი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 10
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2 38 36 32 591 70 99 74
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	48962549217220

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ორიათასოცი წლის ცამეტ თებერვალს, მე – საქართველოს ნოტარიუს ნინო მათუაშვილს, რომლის სანოტარო ბიურო, მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №10, მომმართა **გურამ გურამიშვილმა** (დაბ. 30.01.1974წ, პირადი ნომერი: 01017010698, მისამართი: ქალაქი თბილისი, ზაზა ბენდელიანის ქუჩა, კორპუსი 4, ბინა 47).

მან წარმოადგინა ***თანხმობა*** *და მთხოვა მასზე თავისი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მხარის პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით და სსგს ელექტრონული მონაცემთა ბაზის საფუძველზე და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად ზ/აღნიშნულმა პირმა მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა, და ვადასტურებ რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს; აგრეთვე დავრწმუნდი მისი ნების გამოვლენის ნამდვილობაში. შემდეგ მხარემ ჩემი თანდასწრებით წაიკითხა დოკუმენტი და პირადად მოაწერა ხელი წარმოდგენილ დოკუმენტს. ხელმომწერ პირს განვუმარტე, რომ მე ვადასტურებ ხელმოწერის სინამდვილეს და პასუხს არ ვაგებ დოკუმენტის შინაარსზე და სამართლებრივ შედეგზე. ნოტარიუსის თანდასწრებით, დოკუმენტზე ხელმოწერა შესრულებულია ერთ გვერდზე და გაცემულია ერთ ეგზემპლარად.*

გადახდილია სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის სანოტარის შესახებ საქართველოს მთავრობის 507 დადგენილების (29.12.2011წ) 31-ე მუხლის თანახმად – 2,00 ლარი, აგრეთვე დღგ 0.36 ლარი - საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის საფუძველზე, და ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციისათვის 2 ლარი დღგ-ს ჩათვლით თანახმად საქართველოს მთავრობის 507 დადგენილების 39-ე მუხლის თანახმად.

ნოტარიუსი ნინო მათუაშვილი

საქართველო. ნოტარიუსი ნინო მათუაშვილი. GEORGIA. NOTARY NINO MATUASHVILI. 35001019055

მე, გურამ გურამიშვილი (პ/ნ 01017010698), თანახმა ვარ, რომ გიორგი დგებუაძემ, პ/ნ 01017016298, შეასრულოს ნებისმიერი საპროექტო სამუშაოები, მის: ქ.თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-14 კმ.-ზე (ს/კ 01.72.14.012.878) ჩემს მიერ შესრულებულ პროექტთაქთან მიმართებაში, კერძოდ შეათანხმოს, შეცვალოს, დააკორექტიროს და წარადგინოს აღნიშნული პროექტი ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის და ყველა სახელმწიფო სამსახურში. შეასრულოს ნებისმიერი ქმედება აღნიშნულთან დაკავშირებით.

გურამ გურამიშვილი _____

საგადახდო დავალება
Payment Order

1591002997 | GEL | ს.ს. "თიბისი ბანკი"

თარიღი / Date 01/06/2020

გადამხდელი / Sender

შ.პ.ს. ტრანს გაზი, 404905046

რეფერენსი / Ref. Num.

3389525853

გადამხდელის ანგარიში / Sender's Account GE65TB7278936120100001

თანხა / Amount

15,000.00 GEL

გადამხდელის ბანკი / Sender's Bank | ბანკის კოდი / Bank Code

სს თიბისი ბანკი | *TBCBGE22*

თანხა სიტყვიერად
Amount in words

თხუთმეტი ათასი ლარი და 00 თეთრი

ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა
Information on a person on behalf of whom the payment is made

დასახელება / Name *შ.პ.ს. ტრანს გაზი, 404905046*

საიდენტიფიკაციო კოდი / Sender's Tax Code 404905046

მიმღები / Receiver

ხაზინის ერთიანი ანგარიში. სხვა შემოსულობები (თვითმმართველი ქალაქი თბილ

მიმღების ანგარიში / სახაზინო კოდი Receiver's Acc./ Treasury Code 300773263

მიმღების ბანკი / ხაზინა Receiver's Bank / Treasury | ბანკის კოდი / Bank Code

ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური | *TRESGE22*

ბანკში საგადახდო დავალების მიღების/წარდგენის თარიღი
Document submission/receiving date

01/06/2020

გადახდის დანიშნულება / Operation Details

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ - სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო

ხელმოწერა
Signature

დამატებითი ინფორმაცია / Additional Information

დადგენილება 000172 შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ - სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო

ხელმოწერები
Signatures

ბ.ა.

ამ დოკუმენტის ხელმოწერით კლიენტი ადასტურებს, რომ: დეტალურად იცნობს სს "თიბისი ბანკის" ფილიალებსა და ინტერნეტ გვერდზე www.tbcbank.ge განთავსებულ საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების პირობებს (ამ ხელშეკრულებაში შეტანილ ყველა ცვლილებასა და დამატებას) და ეთანხმება მათ, რითაც უერთდება ზემოხსენებულ ხელშეკრულებას.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
მუნიციპალური ინსპექცია

№ 4-21/575-20

"06" 05 2020 წ.

დადგენილება №000172
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

06.05.2020წ.

ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7

მე, მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილემ გიორგი გეჯაძემ განვიხილე, 2020 წლის 6 მაისის №000172 შემოწმების აქტი „სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ" შედგენილი, **შ.პ.ს. „ტრანს გაზი"-ს** (ს/ნ № 404905046; დირექტორი - დავით ჩახტაური; მის: ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონში, გამრეკელის ქ., №19, სართ. IV, ოფისი 20) მიმართ, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.დ." ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დარღვევაზე და

გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-14 კილომეტრი/ ქ. თბილისში, დ. აღმშენებლის ხეივანი მე-14 კმ-ზე, ს/კ №01.72.14.012.878-ზე, შ.პ.ს. „ტრანს გაზი"-ს მიერ, განხორციელდა გაზგასამართი სადგურის მშენებლობა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №4650289 29.08.2019წ. ბრძანებით შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით, კერძოდ: შეცვლილია საპროექტო და არსებული შენობა-ნაგებობების მდებარეობა. გაზრდილია საპირფარეშოს გაბარიტები, შეცვლილია სახურავის მოწყობა. გაუქმებულია წყალშემკრები მილი. "გ" ღერძზე დამატებით მოწყობილია მცირე ზომის ღიობები. შეცვლილია სატრანსფორმატოროს ფორმა და გაბარიტები, ფასადები ლესვა-ღებვის ნაცვლად მოპირკეთებულია სენდვიჩპანელით. შეცვლილია სახურავის მოწყობა, კარების ვიზუალი და გაბარიტები. სახურავზე დამატებით მოწობილია გამწოვი მილი. საოპერატოროს "2-1" ფასადზე დამატებით მოწყობილია კონდიციონერი, ფანჯარაზე დამატებით მოწყობილია გისოსი. სახურავზე დამატებით მოწყობილია სატელიტური ანტენა. შეცვლილია ბენზინგასამართი სვეტების ვიზუალი. ბენზინგასამართი სვეტების თავზე დამატებით მოწყობილია მანათობელი ბანერი. შეცვლილია ფასის მაჩვენებლის მდებარეობა და ვიზუალი. შეცვლილია ბენზინგასამართი სვეტების თავზე სარეკლამო წარწერა. ნაწილობრივ ქართულის ნაცვლად მოწყობილია ლათინური შრიფტი. "ა" და "გ" ღერძების გარეთ დამატებით მოწყობილია თხევადი გაზის აგრეგატი და აპარატი, რომლის ნაწილი სცდება საკადასტრო საზღვრებს. შემცირებულია გამწვანების ფართი. ტერიტორიაზე დამატებით მოწყობილია საგენერატორო, მცირე ზომის ავზები, მსუბუქი კონსტრუქციის

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

ნაგებობა, კაპიტალური და მსუბუქი ღობე. კაპიტალური ღობის ნაწილი სცდება საკადასტრო საზღვრებს.

2020 წლის 6 მაისს, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 123-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე, სამსახურის სპეციალისტის მიერ შედგა შემოწმების აქტი №000172 „სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ." საქმეშია, მხარის №10/01200733379-17 13.03.2020წ. განცხადება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან შ.პ.ს. „ტრანს გაზი"-ს მიერ, ჩადენილია საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.დ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-14 კილომეტრი/ ქ. თბილისში, დ. აღმშენებლის ხეივანი მე-14 კმ-ზე, ს/კ №01.72.14.012.878-ზე, განხორციელდა გაზგასამართი სადგურის მშენებლობა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ს.ს.ი.პ. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის №4650289 29.08.2019წ. ბრძანებით შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით.

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ", საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 122-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 125-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 128-ე მუხლის მე-3 ნაწილით და 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.დ." ქვეპუნქტით,

დავადგინე:

1. შ.პ.ს. „ტრანს გაზი", დაჯარიმდეს 15 000 (თხუთმეტიათასი) ლარით, ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-14 კილომეტრი/ ქ. თბილისში, დ. აღმშენებლის ხეივანი მე-14 კმ-ზე, ს/კ №01.72.14.012.878-ზე, პროექტის დარღვევით IV კლასის ობიექტის (გაზგასამართი სადგური) მშენებლობისთვის.

2. შ.პ.ს. „ტრანს გაზი"-ს დაევალოს, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში:

საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების დასახელება:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, **მიმღების ბანკი:** სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი: TRESGE22, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის დანიშნულება:** დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე.

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, შ.პ.ს. „ტრანს გაზი"-ს დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა.

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, სამშენებლო სამართალდამრღვევს დაერიცხება საურავი სამშენებლო სამართალდამრღვევის დაჯარიმების შესახებ დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით.

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, მისი დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, სამშენებლო სამართალდამრღვევი ჯარიმდება თავდაპირველად დაკისრებული ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც მას შეიძლება დაეკისროს არაუმეტეს სამჯერ.

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან 15 კალენდარული დღის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7).

მუნიციპალური ინსპექციის
უფროსის მოადგილე

გიორგი შეჯაძე